ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2975224

ნომერი: AR1458835

თარიღი : 24.11.2016

გაცემის თარიღი : 02.12.2016

გაცნობის თარიღი : 02.12.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდლის , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა აფციაური პ/ნ 01008036008
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 1ა ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს საკითხის განხილვა, პირველ რიგში უნდა დაზუსტდეს რა ტიპის ტექნოლოგიური სქემით განხორციელდება ჟანგბადის საწარმოს ფუნქციონირება და ასევე უნდა დაზუსტდეს ჟანგბადის ავზების ჯამური მოცულობა.

აქვე უნდა გაითვალისწინოთ, რომ თხევადი ნივთიერების საცავი/ტერმინალი ავზების ჯამური მოცულობით 100 კუბ.მ.-მდე განეკუთვნება II კლასის შენობა-ნაგებობათა მახასიათებლებს, ხოლო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე თხევადი აირის საცავები – ტერმინალები ავზების ჯამური მოცულობით 100 კუბ.მ.-დან 500 კუბ.მ.-მდე მიეკუთვნება III კლასის ობიექტებს, რომელთა მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოებს მშენებლობის ნებართვის გაცემის კუთხით, მისი სამი სტადიის გათვალისწინებით.

ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის #370 23.07.15წ. დადგენილება, რომელშიც გაწერილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სამედიცინო დანიშნულების ობიექტებისათვის, რომლის თანახმად ჟანგბადი პალატებში სამედიცინო საჭიროებისათვის მიეწოდება ცალკე მდგომი დანადგარიდან, რომლებიც განთავსებულია შენობის გარე უწვ კედელთან ფანჯრისა და კარის ღიობებიდან არანაკლებ 4 მეტრის მანძილზე (ჰოროზონტალურად ან ვერტიკალურად) მოწყობილ კარადებში ან უწვი მასალის ერთსართულიან მინაშენებში. დანადგარში ჟანგბადის ავზების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ერთეულს (თითოეული 40 ლიტრის ტევადობით).

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.